შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(2) **1.** მოსწავლემ დაწერა: *ამ პერიოდში მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია რეალობის არასწორი აღთქმა.*

მიუთითეთ მას, რა ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.

განუმარტეთ, რა განაპირობებს ამ ტიპის ხარვეზებს.

(1) **2.** მოსწავლემ *დაწერა: ჩვენი ისტორიის განმავლობაში საქართველო არაერთი პირ სისხლიანი დამპყრობლის სათარეშოდ ქცეულა.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) **3.** მოსწავლემ დაწერა: *ლალიმ ეთერის დავალების ერთად მომზადება სთხოვა.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **4.** მოსწავლემ დაწერა: *სახლის მწვანე სახურავს მერცხლების გუნდი დატრიალებდა.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **5.** მოსწავლემ დაწერა: *თბილისში ჩამოსულ ვაჟას რამდენიმე ღამე უმცროსი ძმის სახლში გაუთევნია.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **6.** მოსწავლემ დაწერა: *საღამოებს ცოლ-ქმარი ტელევიზორის ყურებასა და საუბარში ატარებდნენ.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **7.** მოსწავლემ დაწერა: *ერთი ნაჭერი ყველი მოვიპარე, მიუგო კაჭკაჭმა.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(4) **8.** თქვენი მიზანია აუხსნათ მოსწავლეებს თანდებულის რაობა.

(2) **I**. მოკლედ ჩამოაყალიბეთ საკითხები თანდებულის ადგილისა და დანიშნულების შესახებ;

(2) **II.** ჩამოაყალიბეთ ორი საკითხი, რომლებიც თანდებულთა მართლწერას უკავშირდება.

(7) **9.** წაიკითხეთ ნაწყვეტი ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტური წერილიდან.

კაცობრიობის მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. ოპტიმისტურად ვუყურებ, ჯერ ერთი, რწმენით და, მეორეც, იმის გამო, რომ, ვფიქრობ, კაცობრიობა იძლევა კიდევ ამის საშუალებას. მიუხედავად მრავალი შეცდომისა და შეცოდებისა, მრავალი წაფორხილებისა და დაცემისა, თუ ისტორიას მთლიანობაში შევხედავთ, პროგრესი რეალური ფაქტია და ადამიანები, მართალია, მძიმედ, ფრთხილად, ყოყმანით, მაგრამ მაინც ისე უახლოვდებიან ერთმანეთს, ისე მიისწრაფვიან ერთმანეთისაკენ, რომ არ შეიძლება მახვილმა თვალმა პერსპექტივაში ერთი დიდი ოჯახი არ დაინახოს. მაგრამ მიზნის მისაღწევად სილამაზე არ კმარა. მიზნის მისაღწევად სიცოცხლის არსს სამი პრინციპი აქვს მინიჭებული: გონიერება, სიყვარული და სილამაზე. ეს სამი პრინციპია სამყაროს ხსნის შანსი, ხოლო ეპოქის კრიზისი სხვა არაფერია, თუ არა რომელიმე მათგანის დეფიციტი.

ჩვენი ეპოქის კრიზისი სიყვარულის ნაკლებობაა. დღეს წინა პლანზე მშრალი გონიერებაა. გონიერებას შეუძლია ბირთვული ომი აირიდოს, მაგრამ კაცის მოკვლისთვის წყალბადის ბომბი არაა აუცილებელი, კაცის მოკვლა კეტითაც შეიძლება, ერთი კაცის მოკვლასა და მთელი ქვეყნიერების გაჟლეტას შორის კი განსხვავება მხოლოდ რაოდენობრივია.

(2) **I.** რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

(2) **II.** ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი ჯემალ ქარჩხაძის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.

(2) **III.** იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

(12) **10.** გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

I. დაწერეთ ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაუსაბუთეთ მოსწავლეს თქვენი შეფასება: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყოველი შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება - ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, სინტაქსურს, პუნქტუაციურსა თუ სტილისტურს.

II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, მაგალითებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერი სტილისტურად გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია.	2 1 0

მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:

არსებობს მოსაზრება, რომ გლობალიზაცია საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას და ახალი ტიპის კოლონიზაციას წააგავს.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

მოსწავლის ნამუშევარი:

გლობალიზაცია „მოფლიოს საერთო ეკონომიკურ ბაზრის“ არსებობის შედეგია. გლობალიზაციის დროს ადამიანები თითქოს ერთიანდებიან და უჩნდებათ საერთო ინტერესები. ინტერნეტი და მედიასაშუალებები ამის კარგი მაგალითია. რაც უფრო ადვილია კომუნიკაციის შესაძლებლობა, რაც უფრო მეტი საერთოა ადამიანებს შორის, მათი მართვა ბევრად იოლდება. ქვეყნები არასდროს ყოფილან ერთმანეთზე ისე დამოკიდებულნი, როგორც დღეს. შესაბამისათ, ქვეყნებს შორის ეს ურთიერთ-დამოკიდებულება, გარკვეულწილად, ქმნის ერთიანობის ეფეკტს. გლობალიზაცია გვევლინება, როგორც საზღვრების „მრღვეველი“. ის სპობს განსხვავებას, ვთქვათ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანას შორის. ერთი მარკის მანქანები, ერთი დასახელების კაფეები, ერთნაირი ტექნიკა, საერთო ინტერესები, მაშ რაღა რჩება განსხვა-ვებული? ჯერ მხოლოდ „ინერციით“ დამახსოვრებული ისტორია და მორალი, რომელიც მალე შეიძლება დანარჩენივით საერთო გახდეს.

ვშიშობ საზღვრების „რღვევა“ ასეთი ტემპით თუ გაგრძელდა, შეიძლება, მართლაც შეექმნას საფრთხე სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ისინი მოექცნენ ერთიანი ძალის ქვეშ, მაგრამ არა მგონია, ეს უახლოეს მომავალში აღსრულდეს. ჯერ კიდევ საკმარისად მყარად არის ეროვნული თვითშეგნება მოსახლეობის უმრავლესობაში და მგონია, რომ მარტივად არ აიღრევა ხალხი ერთმანეთში. პირველი და უმთავრესი მიზეზი ამისა ალბათ რელიგია და ტრადიციები იქნება. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ტექნიკური მიღწევებისა და ეკონომიკის ხარჯზე ადამიანები ერთმანეთს დაუახლოვდნენ ისე როგორც არასდროს. ასეთი სიახლოვე და საზღვრების „მოშლა“ საფუძვლიან ეჭვს ჰბადებს, რომ ოდესმე მსოფლიო ერთ დიდ კოლონიად შეიძლება გადაიქცეს და საფრთხე შეექმნას სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას.

II. ქართული ლიტერატურა

(1) **11. ქართული დამწერლობის ჩვენამდე მოღწეული ნიმუშებიდან რომელს მიიჩნევენ უძველესად?**

ა) არმაზში აღმოჩენილ ორენოვან წარწერას.
ბ) მცხეთის ჯვრის მონასტრის წარწერას.
გ) პალესტინის უდაბნოს ქართული მონასტრის წარწერას.
დ) სოფელ წყისის პირველ თარიღიან წარწერას.

(1) **12. იაკობ ხუცესის ტექსტის განხილვის დროს მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება:** *რაკი ვარსქენის ყველას ეშინია, ასეთი საზოგადოება არც არის უკეთესი მმართველის ღირსი.*

ტექსტის რომელი ეპიზოდი შეიძლება გამოვიყენოთ იმის ნათელსაყოფად, რომ მოსწავლის თვალსაზრისი საკამათოა?

ა) დედოფალს ტირილით მიჰყვებოდა უკან „ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაი“.

ბ) მცველმა ხუცესი მოწამის საკანში „ჭურჭერი ერთი სამისოის“ სანაცვლოდ შეუშვა.

გ) სამოელი და იოანე დატუსაღებულ დედოფალს მალულად უგზავნიდნენ ხოლმე საკვებს.

დ) სპარსმა სცადა სასახლიდან გაქცეული დედოფალი ვარსქენის მოსალოდნელი რისხვისაგან დაეცვა.

(1) **13. ტექსტის რომელი მონაკვეთიდან ჩანს, რომ იოანე საბანისძე პირადად იცნობდა აბო თბილელს?**

ა) „აწ ვინ-მე ღირსად გაქებდეს შენ, ჭეშმარიტად საქებელსა? მნებავს ქებად შენდა, ყოვლად ქებულო ქრისტეს მოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ...“

ბ) „და კუალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტესმიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავღა სოფელსა ამას შინა ჩუენსა“.

გ) „ქრისტეს მორწმუნენი ჰნატრიან შენსა მას დიდებულებასა, შენსა მას მოღუაწებასა, შენსა მას სიმხნესა, შენსა მას მარტვილობასა, შენსა მას გვირგვინოსნებასა!“

დ) „შენ გამო, წმიდაო მოწამეო, სიყუარული იგი ქრისტესი ჩუენდამო და სარწმუნოებაი ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა“.

(1) **14. რომელი მონაკვეთი გამოგადგებათ იმ შეხედულების დასასაბუთებლად, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტში საერო ხელისუფლებისა და ეკლესიის ერთიანობის იდეაა ჩამოყალიბებული?**

ა) აშოტ კურაპალატის მიერ ფებრონიასათვის ნათქვამი სიტყვები: „აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგვითუალოს და კუალად თქვენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს“.

ბ) გაბრიელ დაფანჩულის მიერ გრიგოლ ხანძთელისთვის ნათქვამი სიტყვები: „ჩუენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესენი შევზავნეთ ურთიერთას“.

გ) გრიგოლ ხანძთელის მიერ საბასთვის ნათქვამი სიტყვები: „ვიხილნეთ ძმანი ჩუენნი ხანძთასა შინა მყოფნი და ნებითა ღმრთისაითა და ლოცვითა მათითა კუალად მოიწიო ადგილსა ამას წმიდასა“.

დ) გრიგოლ ხანძთელის მიერ დედისთვის ნათქვამი სიტყვები: „შენდობა იყავნ ჩემდა შენ მიერ, დედაო ჩემო... გარნა ნებასა ღმრთისასა ესრეთ სათნო-უჩნდა, ვითარცა აწ იქმნა“.

(1) **15. მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რატომ არ შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არაქრისტიანი ყოფილიყო, შემოქმედს ან სამებას ხომ არსად ახსენებს?*

რომელი წინადადება შეიძლება გამოვიყენოთ ამ კითხვის პასუხად?

ა) ავტორის მსოფლმხედველობა ეყრდნობა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებას, რაც მის ქრისტიანულ მრწამსზე მიუთითებს.

ბ) მეორე სტროფი იწყება სიტყვებით: „ჰე, ღმერთო ერთო“, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ავტორი ქრისტიანი უნდა იყოს.

გ) პოემაში ნათლად ჩანს ქრისტიანული წეს-ჩვეულებები და არსად გვხვდება სხვა აღმსარებლობისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები.

დ) რაკი პოემის ავტორი უდავოდ ქართველი იყო, გამორიცხულია მისი აღმსარებლობა არაქრისტიანულ მრწამსთან ყოფილიყო დაკავშირებული.

(1) **16. „ვეფხისტყაოსნის“ რომელ ეპიზოდში ჩანს რუსთველის ეპოქის საქართველოს ისტორიული სინამდვილის ანარეკლი?**

ა) გაუგონარი გამბედაობა გამოიჩინა სპასპეტმა არაბეთში - ხელმწიფეს მეტოქეობა გაუწია.
ბ) ვაჭრები საჩუქრებით ცდილობდნენ მეფის გულის მოგებას ზღვათა სამეფოში.
გ) მეფის ასულის საქმროდ ინდოეთში უცხო ქვეყნის უფლისწული მოიწვიეს.
დ) საყოველთაო გლოვის გამო ქაჯეთის სამეფოში უფლისწულის ქორწილი გადაიდო.

(1) **17. სულხან-საბა ორბელიანის წიგნის „სიბრძნე სიცრუისა“ ტექსტის განხილვის დროს კლასში ამგვარად დაისვა საკითხი:** *რატომ უნდა მივიჩნიოთ, რომ მართალია სედრაქი და არა რუქა, რომელიც წინააღმდეგია, რომ მოხეტიალე და უთვისტომო ჭაბუკს ანდონ უფლისწულის აღზრდა?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) რუქამ, სედრაქისაგან განსხვავებით, არ იცის მეფე ფინეზის წინასწარმეტყველური სიზმრის შესახებ, რომელშიც უცნობი ჭაბუკის მიერ უფლისწულის აღზრდა ღვთის ნებადაა გამოცხადებული.

ბ) რუქა, სედრაქისაგან განსხვავებით, საერთოდ არავის ენდობა და თანაც მიაჩნია, რომ მოხეტიალე და უთვისტომო კაცი საფრთხეს შეუქმნის მომავალი ხელმწიფის ღირსეულად აღზრდას.

გ) რუქას, სედრაქისაგან განსხვავებით, არ შეუძლია იმის დანახვა, რომ ქვეყნის ზურგზე ხეტიალი ლეონისათვის დიდი გამოცდილებაა, ხოლო მისი გაურკვეველი წარმომავლობა - ღვთის ნების გამოხატულება.

დ) რუქას, სედრაქისაგან განსხვავებით, რეალურად შეუძლია იმის დანახვა, რომ ქვეყნის ზურგზე ხეტიალი ლეონისათვის ისეთი ნაკლია, რომელსაც მისი ღირსეული წარმომავლობაც კი ვერ გადაწონის.

(1) **18. მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რატომ აღწერს დავით გურამიშვილი „ქართლის ჭირში“ ასე დეტალურად თავის პირად ტრაგედიასთან დაკავშირებულ განცდებს, როცა ქართლ-კახეთში დატრიალებული საქვეყნო ტრაგედია ათასგზის უფრო მნიშვნელოვანია?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) პოეტის თვალთახედვით, პიროვნების ბედი და მისი სულიერი განცდები ქვეყნის ბედთან არის გადაჯაჭვული.

ბ) პოეტის თვალთახედვით, პიროვნების ბედი და პირადი ტრაგედია გაცილებით ფასეულია, ვიდრე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ინტრიგები.

გ) პოეტის თვალთახედვით, მისი ბედი და სულიერი განცდები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის ბედს.

დ) პოეტის თვალთახედვით, პიროვნების მიერ საკუთარი პრობლემების დაძლევის გზის ძიება არის ნიშანი საქვეყნო პრობლემების მოგვარებისა.

(1) **19. ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რატომ იმეორებს პოეტი ერთსა და იმავე სტრიქონებს ან სტროფებს ზოგიერთ ლექსში?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) განმეორებით, ანუ რეფრენით, ავტორი ტექსტის ძირითად სათქმელსა და მის მნიშვნელობას გამოკვეთს.

ბ) განმეორებით, ანუ რეფრენით, ავტორი ცდილობს ტექსტის გარითმვაში არსებული ხარვეზები დაფაროს.

გ) განმეორებით, ანუ რეფრენით, ავტორი ცდილობს შუა საუკუნეების პოეტურ ტრადიციას მიჰბაძოს.

დ) განმეორებით, ანუ რეფრენით, ავტორი მკითხველის ყურადღებას ნაწარმოების სათაურს მიაპყრობს.

(1) **20. გრიგოლ ორბელიანის ლექსის „საღამო გამოსალმებისა“ შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რატომ ზის შეყვარებული ჭაბუკი „ჭმუნვით“ და თავისი სატრფოს დასაბრუნებლად არაფერს აკეთებს?* **რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?**

ა) რომანტიკული ნაწარმოების ლირიკული გმირი „ვეფხისტყაოსნის“ გამიჯნურებულ უცხო მოყმეს ჰბაძავს, რომელიც ასევე უმოქმედოდ ზის „მტირალი წყლისა პირსა“.

ბ) რომანტიკული ნაწარმოების ლირიკული გმირი სატრფოში ყოველთვის სამშობლოს მოიაზრებს და არა კონკრეტულ ქალს.

გ) რომანტიკული ნაწარმოების ლირიკული გმირი ქალის წინაშე გრძნობების გამომჟღავნებას მამაკაცის სისუსტის გამოვლინებად მიიჩნევს.

დ) რომანტიკული ნაწარმოების ლირიკულ გმირს, რომელიც სულიერ აღმაფრენას მიელტვის, სიყვარული აქტიური მოქმედებისა და ხორციელი ვნებებისაკენ არ უბიძგებს.

(1) **21. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *თუკი ბარათაშვილის განსაკუთრებული ნიჭი მის სიცოცხლეში ვერავინ შეამჩნია, როგორღა გაიცნო ქართულმა საზოგადოებამ პოეტი?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) გრიგოლ ორბელიანმა, რომელიც ბარათაშვილის ბიძა გახლდათ, დისწულის გარდაცვალების შემდეგ უპატრონა მის შემოქმედებას.

ბ) დიმიტრი ყიფიანმა, რომელიც ბარათაშვილის პირადი მეგობარი იყო, პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოაქვეყნა მისი ლექსები.

გ) ილია ჭავჭავაძემ, რომელიც რუსეთში სწავლის დროს შემთხვევით გაეცნო ბარათაშვილის პოეზიას, საზოგადოებას გაუცოცხლა პოეტის სახელი.

დ) სოლომონ დოდაშვილმა, რომელიც ბარათაშვილის მასწავლებელი იყო, მოწაფის გარდაცვალების შემდეგ იზრუნა მისი სახელის უკვდავსაყოფად.

(1) **22. ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერის“ შესწავლისას მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *თუნდაც დიდ მწერალს აქვს კი უფლება, რომ ასე ქედმაღლურად მიმართოს საკუთარ ერს?*
რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ილია ჭავჭავაძე დარწმუნდა, რომ ქართველი ერის გამოფხიზლება უიმედო საქმე იყო და ამიტომ გადაწყვიტა, გამანადგურებელი კრიტიკით სამუდამოდ გაეწყვიტა კავშირი საკუთარ ხალხთან.
ბ) ილია ჭავჭავაძემ, დარწმუნდა რა, რომ მის ლიტერატურულ მოღვაწეობას არავითარი შედეგი არ მოჰყვა, გადაწყვიტა, საკადრისი პასუხი გაეცა თანამემამულეებისათვის უგუნურების გამო.
გ) ილია ჭავჭავაძე საკუთარ თავს ერის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს და, ამდენად, მისი პოზიცია, რომელიც ერის მანკიერებათა დაძლევას ისახავს მიზნად, თვითკრიტიკულია და არა ქედმაღლური.
დ) ილია ჭავჭავაძე საკუთარ თავს ერის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს და მისი პოზიციაც თვითკრიტიკულია და არა ქედმაღლური, თუმცა ავტორს ეეჭვება, რომ კრიტიკას შედეგი მოჰყვება.

(1) **23. ილია ჭავჭავაძის „პასუხის პასუხის“ შესწავლისას მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რატომ არ მიიღო აკაკი წერეთელმა მონაწილეობა „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლაში?*
რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) აკაკი აქტიური მონაწილე იყო „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლისა და ამის დამადასტურებელია მისი ლექსები „საიდუმლო ბარათი“ და „ხანჯალს“.
ბ) აკაკი აქტიური მონაწილე იყო „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლისა და ამის დამადასტურებელია მისი ლექსები „ფარშავანგი“ და „ხარაბუზა ღენერალს“.
გ) აკაკი „მამების“ თაობას ზოგადად ასახვის რეალისტური მეთოდით დაუპირისპირდა, თუმცა კონკრეტული ტექსტით თავისი პოზიცია არ გამოუხატავს.
დ) აკაკი მიიჩნევდა, რომ მთავარი თაობათა კონსოლიდაცია იყო, მას დაპირისპირების გამწვავება არ სურდა და ამიტომ შემრიგებლური პოზიცია დაიკავა.

(1) **24. ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რატომ წუხს ხევისბერი გოჩა გამუდმებით შვილის გამო, რისი ეშინია მას ასე ძლიერ?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) გოჩას ეშინია, ონისემ სისუსტე არ გამოიჩინოს და თემის წინაშე არ შერცხვეს.
ბ) გოჩას ეშინია, ონისე ხევიდან სამუდამოდ ფშავში დედის ძმებთან არ გადაიხვეწოს.
გ) გოჩას ეშინია, ონისე მოსალოდნელ ბრძოლაში თანამოძმის ხელით არ დაიღუპოს.
დ) გოჩას ეშინია, ონისემ ოჯახისთვის შეუფერებელი უღირსი ქალი არ შეირთოს ცოლად.

(1) **25. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** *რატომ დაუპირისპირდა ჯოყოლა თანასოფლელებს იმ ადამიანის გამო, რომელიც მისი ძმის მკვლელი აღმოჩნდა და გაცნობისას იცრუა კიდეც?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ჯოყოლა განაწყენებულია, რადგან თანასოფლელებმა დაუმალეს სტუმრის ვინაობა და მასპინძლის დაუკითხავად აპირებდნენ ზვიადაურის გატაცებას.

ბ) ჯოყოლას თავმოყვარეობა შეილახა იმით, რომ მას ქოფაკი უწოდეს, ამიტომ სტუმრის დაცვით თანასოფლელებზე შურისძიება გადაწყვიტა.

გ) ჯოყოლასთვის ღირსების საკითხია, დაიცვას სტუმარი, რომელმაც მის ოჯახში შემოსვლისას იარაღი აიხსნა და თავისი უსაფრთხოება მთლიანად მასპინძელს მიანდო.

დ) ჯოყოლასთვის შეურაცხმყოფელია, თანასოფლელები ძმის მკვლელისათვის სამაგიეროს გადახდას რომ არ აცლიან და ინიციატივას თვითონ იჩენენ.

(1) **26. დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:**

რატომ ამბობს პლატონი უარს „საქვრივოზე“ მაშინ, როდესაც მატერიალური გაჭირვების შიში თავგზას უბნევს?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ამ გადაწყვეტილებით ადვოკატის უშემოსავლოდ დატოვება უნდა.

ბ) ამ მოქმედებით ჯიუტი მამის დასჯა სურს.

გ) ამ ნაბიჯით აბეზარი არისტოს მოშორებას ცდილობს.

დ) ამ საქციელით ღმერთის გულის მოგება უნდა.

(1) **27. „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულმა სკოლამ, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული ლექსის მოდერნიზების თვალსაზრისით, XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. რა გახდა ამ გადაწყვეტილების მიზეზი?**

ა) იდეოლოგიური უთანხმოება, რომელმაც სიმბოლისტი პოეტების რიგებში იჩინა თავი და საფუძველი შეურყია იმ ლიტერატურულ ერთობას, რომელსაც „ცისფერი ორდენის“ წევრები აღიარებდნენ.

ბ) პაოლო იაშვილის მოულოდნელი თვითმკვლელობა, რამაც მორალურად გატეხა „ცისფერი ორდენის“ წევრები და დაიწყო რღვევა იმ ლიტერატურული ერთობისა, რომლის სულისჩამდგმელიც პაოლო იყო.

გ) სისხლიანი ტერორი, რომელიც 1924 წლის ამბოხების ჩახშობის შემდეგ დაიწყო ქვეყანაში და რომელმაც საფრთხის წინაშე დააყენა იმ მწერლების ფიზიკური არსებობა, რომლებიც პროლეტარულ იდეოლოგიას არ იზიარებდნენ.

დ) „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული სკოლის მეთაურის, გრიგოლ რობაქიძის, ემიგრაციაში წასვლა, რამაც საყრდენი გამოაცალა მოდერნისტული იდეოლოგიის არსებობას ქართულ მწერლობაში.

(1) **28. კოლაუ ნადირაძის ლექსის „25 თებერვალი“ შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რას შეიძლება ნიშნავდეს პოეტის სიტყვები: „მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს...“?*
რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ამ სტრიქონში პოეტი კონკრეტულად გულისხმობს ასპინძის ომის დროს ჩადენილ ღალატს, რომელსაც შედეგად ქართული ჯარის დამარცხება მოჰყვა.

ბ) ამ სტრიქონში პოეტი კონკრეტულად გულისხმობს მარაბდის ომის დროს მომხდარ ტრაგედიას, რომელმაც ქვეყნის განვითარება რადიკალურად შეცვალა.

გ) ქვეყანაში დატრიალებულ უბედურებას პოეტი გარეშე მტრების დაგეგმილად მიიჩნევს, თუმც ამას არსებული რეალობის გამო პირდაპირ ვერ ამბობს.

დ) ჩანს, ქვეყანაში დატრიალებულ უბედურებაში პოეტი ყველაზე მეტად შინაურ მტრებს ადანაშაულებს და მიიჩნევს, რომ ასეთი რამ პირველად არ ხდება.

(1) **29. გიორგი ლეონიძის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რა ცვლილება განიცადა ყივჩაღმა ხალხური ლექსის პერსონაჟიდან გიორგი ლეონიძის ლექსის ლირიკულ გმირად გადაქცევით?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ხალხური ლექსის გმირი ძლიერი და შეუპოვარი ვაჟკაცია, ხოლო გიორგი ლეონიძის ლექსის პერსონაჟი ემოციური და სუსტი პიროვნებაა.

ბ) ხალხური ლექსის პერსონაჟი გამორჩეული მეომრული თვისებებით ვერ დაიკვეხნის, გიორგი ლეონიძის გმირი კი მამაცი მებრძოლია.

გ) ხალხური ლექსის პერსონაჟი, რომელიც უცხო და სასტიკი მოძალადეა, გიორგი ლეონიძის ლექსში მარადიული სიყვარულის სიმბოლოდ არის ქცეული.

დ) ხალხური ლექსის პერსონაჟი სიკვდილის წინ თავის ცოდვებს ინანიებს, ხოლო გიორგი ლეონიძის ლექსის გმირი ბოლომდე დაუნდობელი რჩება.

(1) **30. ქართული მოდერნიზმის შესახებ საუბრის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რატომ იყო აკრძალული გრიგოლ რობაქიძის სახელის ხსენება საბჭოთა პერიოდში, თუკი მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული მწერლობის წინაშე?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) გრიგოლ რობაქიძე საბჭოთა კავშირიდან გაიქცა და ემიგრაციაში ჰიტლერისა და მუსოლინის შესახებ წიგნები გამოაქვეყნა.

ბ) გრიგოლ რობაქიძე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე იარაღით იბრძოდა მის წინააღმდეგ.

გ) გრიგოლ რობაქიძე ტროცკისტი იყო და რომანში „ჩაკლული სული“ სტალინის დიქტატურას აკრიტიკებდა.

დ) გრიგოლ რობაქიძე კრიტიკულ რეალიზმს ჭეშმარიტ ხელოვნებად არ მიიჩნევდა და მის წარმომადგენლებს დასცინოდა.

III. მხატვრული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ არჩილ სულაკაურის ლექსი „მხოლოდ ერთხელ...“:

I. მინდა, ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო.
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო?!

II. მივდივარ და სად მივდივარ,
სადაური საითა?
ლელო ერთხელ გავიტანე,
განა კიდევ გავიტან?!

III. გუმბათს ერთხელ ჩამოვკიდე
მოგუგუნე ზარები
და დარუბანდს მხოლოდ ერთხელ
ჩამოვხსენი კარები.

IV. მხოლოდ ერთხელ აღვაშენე
სვეტიცხოვლის ტაძარი
და ლაშქარი დიდგორისკენ
მხოლოდ ერთხელ დავძარი.

V. მხოლოდ ერთხელ დამესიზმრა
სიყვარულის სიზმარი
და განმეხვნა ერთხელ მხოლოდ
კარნი სამოთხისანი.

VI. მინდა, ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო,
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო?!
სადაური სად გაფრინდა,
ვის ცერზე ზის ტიალი,
ვის შეუდგა და ვის ასმევს
შარბათს ოქროს ფიალით?

VII. ახლა გუმბათს მან დაჰკიდოს
მოგუგუნე ზარები
და დარუბანდს ახლა ერთხელ
მან ჩამოხსნას კარები!

VIII. ახლა სხვამან აღაშენოს
სვეტიცხოვლის ტაძარი
და ლაშქარი დასძრას დიდგორს,
როგორც ერთხელ დავძარი!

IX. ახლა სხვასაც დაესიზმროს
სიყვარულის სიზმარი
და განეხვნეს ერთხელ სხვასაც
კარნი სამოთხისანი!

X. მინდა, ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო,
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო!

შეკითხვებზე გადასვლა 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ინსტრუქცია:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება.

მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და პასუხების ფურცლის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X.

(1) **31. რა განცდას გამოხატავს ავტორი პირველ სტროფში?**

ა) დამამცირებელი შეურაცხყოფით გამოწვეულ ტკივილს.

ბ) მომავალ გამარჯვებათა მოლოდინით გამოწვეულ სიამოვნებას.

გ) ნაადრევი გაზაფხულის პეიზაჟით ტკბობას.

დ) წუხილს რაღაც მნიშვნელოვანი დანაკარგის გამო.

ტექსტზე დაბრუნება

(1) **32. როგორი განწყობილება არის გამოხატული მეორე სტროფში?**

ა) აღფრთოვანებული.

ბ) აღშფოთებული.

გ) თავდაჯერებული.

დ) დაეჭვებული.

ტექსტზე დაბრუნება

(1) **33. როგორ იხასიათებს ლირიკული გმირი თავს მესამე სტროფის მიხედვით?**

ა) დიადი საქმეების შემოქმედია.

ბ) მომავლის რწმენითაა გამსჭვალული.

გ) პასიური ცხოვრებით გამოირჩევა.

დ) ცხოვრების ამაოებით უკმაყოფილოა.

ტექსტზე დაბრუნება

(1) **34. კონკრეტულად რომელი ისტორიული პიროვნების დამსახურება იგულისხმება მესამე სტროფში?**

ა) ბაგრატ მესამის.

ბ) დავით აღმაშენებლის.

გ) ვახტანგ გორგასლის.

დ) თამარ მეფის.

ტექსტზე დაბრუნება

(1) **35. რა მიზანს ისახავს ავტორი, როდესაც მესამე და მეოთხე სტროფებში გამეორების მხატვრულ ხერხს იყენებს?**

ა) სურს, დაანახვოს მკითხველს საკუთარი დამსახურება საქართველოს ისტორიის წინაშე.

ბ) სურს, საზოგადოებას შეახსენოს საქართველოს ისტორიის უსამართლოდ მივიწყებული ეპიზოდები.

გ) სურს, შეახსენოს მკითხველს საქართველოს ისტორიის ყველაზე ტრაგიკული მოვლენები.

დ) სურს, ჩამოთვლილი მოვლენების განსაკუთრებულ ისტორიულ მნიშვნელობას გაუსვას ხაზი.

ტექსტზე დაბრუნება

(1) **36. რომელ მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი მეხუთე სტროფში?**

ა) გაპიროვნებას.

ბ) ირონიას.

გ) მეტაფორას.

დ) შედარებას.

ტექსტზე დაბრუნება

(1) **37. რა აზრია გამოხატული სიტყვებით:** „...ასმევს შარბათს ოქროს ფიალით“?

ა) ამპარტავნობას უღვივებს.

ბ) ბედნიერებას ანიჭებს.

გ) სევდას უძლიერებს.

დ) სიმდიდრეს უძღვნის.

ტექსტზე დაბრუნება

(1) **38. რა არის მეშვიდე სტროფის მთავარი სათქმელი?**

ა) აწმყოში მტრის დამარცხების სურვილი დათრგუნვილია.

ბ) აწმყოში პატრიოტული გრძნობების გაღვივება შეუძლებელია.

გ) წინაპართა საგმირო საქმეების გამეორება ველარ მოხერხდება.

დ) წინაპართა საგმირო საქმეები შთამომავლობამ უნდა გააგრძელოს.

ტექსტზე დაბრუნება

(1) **39. ლექსის მთელი კონტექსტის გათვალისწინებით, რას გამოხატავს მხატვრული სახე:**

„ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო!“

ა) დიდებული წარსულის მონატრებით გამოწვეულ ტკივილს.
ბ) რწმენის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს.
გ) სამშობლოს მონატრებით გამოწვეულ ტკივილს.
დ) სატრფოს სიყვარულის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს.

ტექსტზე დაბრუნება

(1) **40. რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?**

ა) ისტორიული ფაქტების.
ბ) მეგობრის დაკარგვის.
გ) სევდიანი განწყობილების.
დ) წარსულის გახსენების.

ტექსტზე დაბრუნება

(5) 41. იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.

გაითვალისწინეთ: პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!